

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 16

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

7 აგვისტო 2018 წელი
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე,
კობა ტოხვაძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: ოლეგი მიქელთაძე, რამაზ არველაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო
განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების
რეგულირების შესახებ.

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

2.სხვადასხვა.

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხსენის:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2018 წლის 28 ოქტომბერს გაიმართება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, შესაბამისად გამოგვიზავნეს არჩევნების დანიშვნის შესახებ, გამოცემული სამართლებრივი აქტი.

აღნიშნული არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა განახორციელონ შემდეგი საქმიანობები:

განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაყოფად. არჩევნების დანიშნიდან 10 დღისა უნდა გამოაქვეყნონ ინფორმაცია სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე.

ასევე გაცნობებთ, რომ პლაკატების უკანონო ჩამოხევის, ჩამოხსნის დაფარვის ან დაზიანების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ადგენს შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა საარჩევნო-სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

კომისიის წევრების მხრიდან, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების წესს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N2/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე